



**სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
თავმჯდომარის 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანების შესაბამისად
განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების
დამტკიცების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს ი/მ გიორგი ბასილიძის (პ/ნ: 01011014397) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების დარღვევისა და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, ი/მ გიორგი ბასილიძეს (პ/ნ: 01011014397) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს, ასევე აღმოფხვრას 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით




გათვალისწინებული უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

4. ი/მ გიორგი ბასილიძეს (პ/ნ: 01011014397) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

**სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
თავმჯდომარის 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანების შესაბამისად
განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე**

ქ. თბილისი

2025

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი	3
1.1. განმცხადებლის პოზიცია	3
1.2. მოვაჭრის პოზიცია	4
თავი 2. ნორმატიული რეგულირება	4
თავი 3. საქმის შესწავლის დაწყების საფუძველი	9
თავი 4. სამოტივაციო ნაწილი	11
4.2 უსამართლო კომერციული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა	14
4.2.1 ოდომეტრის (გარბენის) შესახებ ინფორმაციის გაყალბება როგორც უსამართლო კომერციული საქმიანობა.....	15
4.2.2. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ოდომეტრის მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით	17
4.3. მომხმარებლის განცხადების შეფასება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონლის გადაცემის ვალდებულების დარღვევა მოვაჭრის მიერ და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება	18
თავი 5. სარეზოლუციო ნაწილი	27

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2024 წლის 19 ივლისს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე

(შემდგომში - განმცხადებელი/მომხმარებელი)

№01/3687 განცხადება (შემდგომში - განცხადება), ი/მ გიორგი ბასილიძის (პ/ნ: 01011014397) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

მოქალაქე

№01/3687 განცხადების

საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა ი/მ გიორგი ბასილიძის (პ/ნ: 01011014397) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა 2024 წლის ივნისის თვეში www.myauto.ge ვებ. გვერდის საშუალებით, ი/მ გიორგი ბასილიძისაგან შეიძინა ავტომობილი 2018 წლის TOYOTA AQUA (განსაბაჟებული ავტომობილის ნომრებით - GR 9670, ძარის ნომრით vin – NHP10-6798722) რომელსაც გარბენად (ვებ. გვერდზე და ადგილზე შემოწმების დროს) უფიქსირდებოდა 55 000 კილომეტრი. მომხმარებელმა მოითხოვა აუქციონის შემოწმების ფურცელი, რითაც დადასტურდებოდა მოვაჭრის მიერ, ოდომეტრზე მითითებული გარბენის რაოდენობის ავთენტურობა. თუმცა, მოვაჭრის მიერ აღნიშნული დოკუმენტის მიწოდება არ განხორციელდა. შესაბამისად, განმცხადებელმა საკუთარი ძალებით მოახერხა დოკუმენტის მოძიება და აღმოჩნდა, რომ მის მიერ შეძენილ მანქანას ნაცვლად 55 000 კმ. გარბენისა, ჰქონდა ბევრად უფრო მეტი - 190 952 კმ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2025 წლის 31 მარტს მომხმარებელმა სააგენტოში N01/2062 წერილით წარმოადგინა დაზუსტებული პოზიცია, რომლის შესაბამისადაც, მან ი/მ გიორგი ბასილიძისაგან ავტომობილი შეიძინა 6300 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში, განბაჟების თანხის გარეშე და მოითხოვა ფასის შემცირება 1000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოვაჭრემ 190 952 კმ. გარბენის მქონე მანქანა მიყიდა როგორც 55 000 კმ. გარბენის მქონედ.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი, როგორც მომხმარებლის უფლებები. ამასთან, მის მიმართ განხორციელდა უსამართლო კომერციული საქმიანობა და მოხდა მისი შეცდომაში შეყვანა.

1.2. მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს 2024 წლის 24 ივლისის N02/2738 წერილით მოვაჭრეს ეცნობა განმცხადებლის მოთხოვნის თაობაზე და განესაზღვრა 5 სამუშაო დღე განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით პოზიციისა და სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად.

სააგენტოს 2024 წლის 24 ივლისის N02/2738 წერილის პასუხად, მოვაჭრეს სააგენტოში არ წარმოუდგენია საპასუხო პოზიცია. სააგენტოს 2024 წლის 22 აგვისტოს N02/3128 წერილით მოვაჭრეს ეცნობა საქმის წარმოების დაწყების შესახებ და კვლავ განესაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა პოზიციისა და სავაჭრო პოლიტიკის წარმოსადგენად. სააგენტოს მიერ გაგზავნილი წერილი მოვაჭრემ მატერიალური სახით ჩაიბარა 2024 წლის 13 სექტემბერს. თუმცა, მოვაჭრეს დღემდე არ წარმოუდგენია საპასუხო პოზიცია და ამასთან, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ განხორციელებული სატელეფონო კომუნიკაციის თანახმად, მოვაჭრე უარს აცხადებს რაიმე სახის პოზიციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაზე.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კერძოდ, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს **საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად** მიაწოდოს **უტყუარი და სრული ინფორმაცია**. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ.

კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი.

კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის შეკეთება და შეცვლა მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

კანონის მე-17 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილია, რომ საქონელი შეკეთებული ან შეცვლილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. ხოლო საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის (მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯების) გაწევას, რომლებიც საჭიროა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის

შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

კანონის VI თავი ეთმობა უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ პირობებს, რომლის მიხედვითაც: უსამართლო კომერციული საქმიანობა აკრძალულია, ხოლო უსამართლო კომერციული საქმიანობა, რომელიც კეთილსინდისიერების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და არსებითად უარყოფითად ცვლის ან შესაძლოა შეცვალოს საშუალო მომხმარებლის ეკონომიკური ქცევა იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომელიც მას მიაწოდეს ან მისთვის არის განკუთვნილი, ან ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა მომხმარებელთა ჯგუფის საშუალო წევრის ეკონომიკურ ქცევაზე, როდესაც კომერციული საქმიანობის ადრესატი მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფია.

კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ მოვაჭრის მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა მომხმარებლისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება ან ინფორმაციის იმგვარად მიწოდება (მაშინაც კი, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტის ერთი ან ერთზე მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ფაქტობრივად სწორია), რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მოტყუება და რის გამოც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც სხვაგვარად არ დადებდა. ხოლო, ეს ინფორმაცია მოიავს საქონლის ან მომსახურების არსს და შემდეგ ძირითად მახასიათებლებს: ხელმისაწვდომობა, სარგებელი, რისკები, გამოყენება, შემადგენლობა, აქსესუარები, გაყიდვისშემდგომი მომსახურება, საჩივრის განხილვის წესთან დაკავშირებული პროცედურები, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიწოდება, მიზანთან შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, მახასიათებლები, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვისა და შენახვის პირობები, გამოყენების მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე საქონლის ან მომსახურების შემოწმებისა და ტესტირების შედეგები და მათ საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის¹ (შემდგომში 2011/83/EC დირექტივა) მიზანია მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივა მომხმარებელთა უფლებების, საბჭოს 93/13/EEC დირექტივასა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივაში შესწორებების შეტანის და საბჭოს 85/577/EEC დირექტივისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7/EC დირექტივის გაუქმების შესახებ.

დაკავშირებული წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

2011/83 დირექტივის მე-3 თავის მე-5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე-5 მუხლით ძირითადად იმ ინფორმაციის ჩამონათვალია შემოთავაზებული, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში.

2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის (შემდგომში 2019/771 დირექტივა) მიზანია შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებს ხელშეწყობა და ამავდროულად, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების თაობაზე საერთო წესების დადგენით, კერძოდ, საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, შეუსაბამობის შემთხვევაში მომხმარებლის დაცვის. საშუალებების, ამ საშუალებების გამოყენების გზებისა და კომერციული გარანტიების თაობაზე.²

2005/29/EC დირექტივა (შემდგომში - 2005/29/EC დირექტივა/UCPD დირექტივა) კი ეხება უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და ხელს უშლის კონკურენტულუნარიანი ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებასა და სამომხმარებლო ურთიერთობების განვითარებას³.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ

² ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა 2019/771 საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ცალკეული ასპექტების, 2017/2394 რეგულაციის და 2009/22/EC დირექტივის გაუქმებისა და 1999/44/EC დირექტივის ჩანაცვლების შესახებ, მუხლი 1.

³ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29/EC დირექტივა შიდა ბაზარზე ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის უსამართლო კომერციული პრაქტიკის შესახებ და საბჭოს 84/450/EEC დირექტივას, ევროპარლამენტის 97/7/EC, 98/27/EC და 2002/65/EC დირექტივებსა და საბჭოს (EC) No 2006/2004 რეგულაციაში შესწორებების შეტანის შესახებ.

კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. საქმის შესწავლის დაწყების საფუძველი

კანონი განსაზღვრავს საქმის შესწავლის დაწყების საფუძვლებს. კერძოდ, კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლის დაწყების საფუძველია გონივრული ვარაუდი, რომ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისას, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიაღწეს.

პროცედურის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის არსებობის შეფასებისას სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი

უნარი, გავლენა იქონიოს მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.

ამ კუთხით, სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის 2020/1828 დირექტივაზე (შემდგომში - 2020/1828 დირექტივა). აღნიშნული დირექტივების მიხედვით, მომხმარებელთა დაცვის სამართალი იცავს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებებსა და ინტერესებს მოვაჭრის ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ერთობლივად საზიანო იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის. აღსანიშნავია, რომ 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განმარტავს, რომ კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ჯგუფური ინტერესი გულისხმობს არა ცალკეული მომხმარებლის ინდივიდუალური ინტერესს, არამედ მომხმარებელთა გარკვეული წრის ერთობლივ ინტერესს. კოლექტიური/ჯგუფური ინტერესის კონცეფცია განსხვავდება ინდივიდუალური ინტერესების ჯამისაგან და მეტწილად ფოკუსირებულია მომხმარებელთა ჯგუფის უფლებების სამომავლო ხელყოფის პრევენციაზე.

განსახილველ საქმეში, მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებიდან გამოიკვეთა, რომ შესაძლოა მოვაჭრე ახორციელებდეს ისეთ კომერციულ საქმიანობას, რამაც შესაძლოა სავარაუდო ზიანი მიაყენოს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, მოვაჭრისგან შეიძინოს საქონელი. შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა ი/მ გიორგი ბასილიძის (პ/ნ: 01011014397) მიერ კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

თავი 4. სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ, 2024 წლის 19 აგვისტოს N04/782 ბრძანებით, მოქალაქე

განცხადების საფუძველზე დაწყებული საქმის შესწავლის პროცესში იხელმძღვანელა როგორც მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებითა და მტკიცებულებებით, ასევე, იმ ვებ. გვერდზე მოპოვებული ინფორმაციით, რომლის საშუალებითაც მოვაჭრე ახორციელებს კომერციულ საქმიანობას. ვინაიდან მოვაჭრემ უარი განაცხადა სააგენტოში შესაბამისი პოზიციის წარმოდგენაზე, რაც მას საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა კვალიფიციური შედავება, სააგენტომ, მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მიიჩნია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად.

მოკვლევის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოვაჭრის მიერ განხორციელებულ სავაჭრო პოლიტიკაში გამოიკვეთა კანონის დარღვევები როგორც მომხმარებლის ინფორმირებულობის ვალდებულების, ასევე უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ნაწილში.

სააგენტო, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნო საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობას და უსამართლო კომერციული საქმიანობის შეფასებისას იხელმძღვანელა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკით.

ინფორმირებული მომხმარებლის სტანდარტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გონივრულად მოაზროვნე მომხმარებელმა გააზრებული და წინდახედული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ამიტომ, სამომხმარებლო სამართალში, ე.წ. ინფორმირებული მომხმარებლის მოდელი დომინირებს და მოვაჭრეს აკისრია პასუხისმგებლობა რომ უზრუნველყოს მომხმარებელთა სრული ინფორმირება მისაწოდებელი საქონლისა და გასაწევი მომსახურების შესახებ. მომხმარებლის ჩართულობა ინფორმაციის მიღების პროცესში მხოლოდ მისი სუბიექტური დაინტერესებით შემოიფარგლება. მას შეუძლია გაეცნოს ან არ გაეცნოს ინფორმაციას, ხოლო, წინდახედულობის სტანდარტი - იცის ან უნდა სცოდნოდა, შემოიფარგლება მოვაჭრის პასუხისმგებლობით მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულეზე, თუმცა გავლენას არ ახდენს მომხმარებელზე, რომელმაც უგულებელყო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში აქცენტი გადატანილია ინფორმაციის მიღების უფლებაზე და არა მხარის ვალდებულებაზე მოიპოვოს ეს ინფორმაცია.⁴

⁴ თ. ლაკერბაია, ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი, სამართლის ჟურნალი, N1, 2015. 147.

მომხმარებლის ინფორმირებულობის სტანდარტი ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - ევროკავშირის სასამართლო) არაერთი გადაწყვეტილებითაა განმტკიცებული. საქმეზე Content Service Ltd v. Bundesarbeitskammer⁵ სასამართლომ განმარტა, რომ მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თავად მოიძიებენ ამ ინფორმაციას და მომხმარებლები პასიურები უნდა რჩებოდნენ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.⁵

ინფორმირებულობის ნაწილში, ასევე საგულისხმოა ევროკავშირის სასამართლოს განმარტებები საქმეებზე C-179/21 და C-529/19 სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვიდრე მომხმარებელი მოვაჭრის შეთავაზებით შეიბოჭება, ეს უკანასკნელი ვალდებულია მომხმარებელს ნათელი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიაწოდოს შეთავაზებული საქონლისა თუ მომსახურების შესახებ. აღნიშნული დებულების მიზანია, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა როგორც ხელშეკრულების პირობებისა და ხელშეკრულების დადების შედეგების შესახებ, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, გადაწყვიტოს, სურს თუ არა ხელშეკრულებით შეიბოჭოს, ისე ხელშეკრულების სათანადო შესრულებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მომხმარებლის უფლებებით სარგებლობის შესახებ.⁶

ევროკავშირის სასამართლო, გადაწყვეტილებაში C-430/17 ასევე განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადებამდე ამ ხელშეკრულების პირობებსა და მათზე დათანხმების შედეგებზე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე წყვეტს, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებებით.⁷

ამრიგად, მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების შეძენის შესახებ გონივრული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს და საქართველო სრულად იზიარებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასა თუ საკანონმდებლო მოწესრიგებას.

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრე შუალედური მომსახურების მიმწოდებელი პლატფორმის www.myauto.ge (შემდგომში - პლატფორმა) საშუალებით შედის

⁵ Case C-49/11 Content Services Ltd v Bundesarbeitskammer

⁶ CJEU, *absolut-bikes and more-GmbH & Co KG v the-trading-company GmbH*, C-179/21, 5 May 2022, para. 26; *Möbel Kraft GmbH & Co. KG v ML*, C-529/19, 21 October 2020, para. 26.

⁷ CJEU, *Walbusch Walter Busch GmbH & Co. KG v Zentrale zur Bekämpfung unlauteren Wettbewerbs Frankfurt am Main eV*, Case C-430/17, 23 January 2019, para 36.

მომხმარებელბთან კომუნიკაციაში და აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს მისი კომერციული კომუნიკაციის განხორციელების საშუალებას. იმისათვის, რომ მომხმარებელმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ავტომობილის შეძენასთან დაკავშირებით, აუცილებელია მას მიეწოდოს ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მის არჩევანზე. აღსანიშნავია, რომ ვებ.გვერდი www.myauto.ge უზრუნველყოფს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის კომუნიკაციას და ასევე მოვაჭრეს აწვდის მექანიზმს იმ აუცილებელი ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელსაც მოვაჭრე რეგისტრაციის მომენტში, მის მიერ სარეალიზაციოდ განთავსებულ საქონელთან მიმართებით უთითებს.

პლატფორმა უზრუნველყოფს ისეთი ძირითადი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, როგორიცაა მწარმოებელი, მოდელი, წელი, კატეგორია, გარბენი, საწვავის ტიპი, ძრავის მოცულობა, ცილინდრები, გადაცემათა კოლოფი, წამყვანი თვლები, კარები, აირბეგი, საჭე, ფერი, სალონის ფერი, სალონის მასალა, ტექ.დათვალიერება, კატალიზატორი, ფასი, მოვაჭრესთან საკონტაქტო მონაცემები და სხვა დამატებითი მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, მომხმარებლებს, ზემოაღნიშნული ვებ.გვერდით სარგებლობის შემთხვევაში მიეწოდებათ ყველა ის ინფორმაცია, რაც მათ ეკონომიკურ ქცევას განაპირობებს. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად უტყუარია აღნიშნული ინფორმაცია.

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, მას ყველა იმ არსებითი მახასიათებლების შესახებ მიეწოდა ინფორმაცია, რომელიც ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად სჭირდებოდა და მომხმარებელი სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიდა მოვაჭრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. შესაბამისად, სააგენტომ საქმის განხილვისას იმსჯელა თუ რამდენად შეეძლო მოვაჭრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გამოეწვია მომხმარებლის ეკონომიკური ქცევის შეცვლა და მისი შეცდომაში შეყვანა.

ოდომეტრის (გარბენის) შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

აღსანიშნავია, რომ ოდომეტრი არის მოწყობილობა, რომელიც აჩვენებს ავტომობილის მიერ დაფარულ საერთო მანძილს – ანუ გარბენს. იგი განთავსებულია მანქანის პანელზე და ითვლის კილომეტრებით (ან მილიებით) იმ მანძილს, რაც მანქანამ გაიარა. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია ავტომობილის ცვეთის, ტექნიკური მდგომარეობისა და ღირებულების განსაზღვრისას.

ოდომეტრის (გარბენის) მაჩვენებელი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე არსებით ინფორმაციას, რომლის მიწოდებაც მოვაჭრეს ეკისრება ავტომობილის გაყიდვისას. ეს მონაცემი პირდაპირ უკავშირდება როგორც საქონლის ფიზიკურ მდგომარეობას, ისე მის ღირებულებას, უსაფრთხოებასა და ფუნქციურობას, რის გამოც იგი აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

ოდომეტრის შესახებ ინფორმაციის მკაფიო, გამჭვირვალედ და სრულყოფილად მიწოდება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის მონაცემებზე დაყრდნობით ხდება ავტომობილის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ სრული სურათის წარმოდგენა და მომხმარებლის მიერ ეკონომიკური ქცევის განხორციელება. მათ შორის:

ფასის სამართლიანი განსაზღვრა: გარბენი პირდაპირ გავლენას ახდენს მანქანის საბაზრო ღირებულებაზე – დაბალი გარბენი ზრდის ფასს, ხოლო მაღალი – ამცირებს.

ტექნიკური უსაფრთხოება: გარბენის მიხედვით მყიდველი აფასებს, ძრავის სავალი ნაწილების და სხვა ძირითადი კომპონენტების ცვეთის ხარისხს. მაღალი გარბენი ნიშნავს, რომ მანქანამ უფრო მეტად განიცადა ცვეთა და შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი სარემონტო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელს, ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, უნდა მიეწოდოს სრული, ზუსტი, მკაფიო და ჭეშმარიტი ინფორმაცია, რათა მან მიიღოს გონივრული და ინფორმირებული არჩევანი. ოდომეტრის მონაცემების უზუსტობა ან დამალვა კი არღვევს ინფორმირებული მომხმარებლის პრინციპს და ითვლება შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად.

4.2 უსამართლო კომერციული საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

შიდა ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ბიზნეს-სამომხმარებლო კომერციული პრაქტიკის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის დირექტივა 2005/29/EC (შემდგომში - UCPD დირექტივა)⁸ არის ყოვლისმომცველი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას მომხმარებელთა უფლებები და ხელი შეუწყოს ბაზარზე სამართლიან კონკურენციას. დირექტივა ბიზნესს უკრძალავს აგრესიულ ან შეცდომაში შემყვან სავაჭრო პრაქტიკას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებელთა

⁸ Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council of 11 May 2005 concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market and amending Council Directive 84/450/EEC, Directives 97/7/EC, 98/27/EC and 2002/65/EC of the European Parliament and of the Council and Regulation (EC) No 2006/2004 of the European Parliament and of the Council ('Unfair Commercial Practices Directive')

ეკონომიკურ ინტერესებს ან შეაფერხოს მათი უნარი, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

UCPD დირექტივის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ ბიზნესმა მომხმარებლებს მიაწოდოს მკაფიო და ზუსტი ინფორმაცია. ეს მოიცავს გამჭვირვალე ფასებს, პროდუქტის აღწერას და ნებისმიერ საქონელთან/მომსახურებასთან დაკავშირებულ არსებით პირობებს, რაც მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომხმარებელს ჰქონდეს ჭეშმარიტ და სრულყოფილ ინფორმაციასთან წვდომა, დირექტივა მათ იცავს მოვაჭრის მიერ განხორციელებული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობისაგან.

UCPD დირექტივის დანართი N1 განსაზღვრავს იმ კომერციულ პრაქტიკას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უსამართლოდაა მიჩნეული. დირექტივის დანართით განსაზღვრულ სიას ხშირ შემთხვევაში უწოდებენ „შავ სიას“, რადგან იგი ამომწურავად ჩამოთვლის ისეთ კომერციულ პრაქტიკებს, რომელიც, თავისი შინაარსისა და ბუნებიდან გამომდინარე განსაკუთრებით დამაზიანებელია მომხმარებელთა ეკონომიკური ქცევისა და ბიზნეს-სამომხმარებლო ურთიერთობათა ბალანსისათვის.

UCPD დირექტივის შესავალი დებულებების მე-17 პარაგრაფის მიხედვით, „მნიშვნელოვანია წინასწარ იდენტიფიცირებული იყოს ის კომერციული საქმიანობა, რომელიც ყველა შემთხვევაში უსამართლოდ იქნება მიჩნეული, რათა უზრუნველყოფილი იყოს მეტი სამართლებრივი უსაფრთხოება. სწორედ ამიტომ, დანართი N1 შეიცავს ყველა ასეთი საქმიანობის სრულ ჩამონათვალს (ე.წ. „შავ სიას“), რომელიც UCPD დირექტივის მე-5-მე-9 მუხლების წინაპირობათა შეფასების გარეშე ითვლება უსამართლოდ და ეს ამომწურავი სია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დირექტივის გადასინჯვის შედეგად“.

მსგავსად დირექტივისა, კანონის 25-ე მუხლი ითვალისწინებს ამომწურავ ჩამონათვალს, რა შემთხვევაშიც, მოვაჭრის საქმიანობა ითვლება შეცდომაში შემყვანად.

მოვაჭრის საქმიანობის შეფასებისას, როდესაც მისი ქმედება კანონით განსაზღვრული „შავი სიით“ არ კვალიფიცირდება, მნიშვნელოვანია ქმედების გარკვეული კრიტერიუმებით შეფასება. აღსანიშნავია, რომ UCPD დირექტივის ზოგადი დებულებები (მუხლები 5-დან 9-მდე) მოიცავს უსამართლო, შეცდომაში შემყვან და აგრესიულ კომერციულ საქმიანობას, რომელსაც შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ ქცევაზე, რის გამოც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც სხვაგვარად არ დადებდა.

4.2.1 ოდომეტრის (გარბენის) შესახებ ინფორმაციის გაყალბება როგორც უსამართლო კომერციული საქმიანობა.

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებელმა, მოვაჭრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განახორციელა ეკონომიკური ქცევა და სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდა მოვაჭრესთან. მან შეიძინა ავტომობილი 2018 წლის TOYOTA AQUA (განსაბაჟებული ავტომობილის ნომრებით - GR 9670, ძარის ნომრით vin – NHP10-6798722) რომელსაც გარბენად (ვებ. გვერდზე და ადგილზე შემოწმების დროს) უფიქსირდებოდა 55 000 კილომეტრი. მომხმარებლის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მიეღო შესაბამისი ავთენტიკური დოკუმენტაცია მანქანის გარბენთან დაკავშირებით, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მითითებული გარბენი - 55000კმ. შეესაბამება ჭეშმარიტებას, მომხმარებელმა ვერ მიიღო. შესაბამისად, მან საკუთარი ძალებით გადაამოწმა გარბენის ავთენტიკურობა და სააგენტოში წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც სააგენტოს შეფასებით წარმოადგენს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, და მოვაჭრეს აღნიშნულთან დაკავშირებით კვალიფიციური შედავება არ განუხორციელებია რათა საწინააღმდეგო დაემტკიცებინა.

მოვაჭრის მიერ მითითებული ინფორმაცია გარბენის შესახებ - 55 000 კმ. არ შეესაბამება მომხმარებლის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და გარბენი რეალურად შეადგენს 190,952 კმ-ს რაც, მითითებულ მონაცემებს დაახლოებით 3.4-ჯერ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ კანონი, მომხმარებლის ინფორმირებულობის სტანდარტს უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ნაწილშიც განიხილავს და კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები დამატებით განმარტავს თუ რა ქმედება შეიძლება მოიაზრებოდეს შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად. კერძოდ: მოვაჭრის მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა მომხმარებლისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება ან ინფორმაციის იმგვარად მიწოდება, რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მოტყუება და რის გამოც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც სხვაგვარად არ დადებდა. ხოლო მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოიცავს საქონლის ან მომსახურების არსს და შემდეგ ძირითად მახასიათებლებს: ხელმისაწვდომობა, სარგებელი, რისკები, გამოყენება, შემადგენლობა, აქსესუარები, გაყიდვისშემდგომი მომსახურება, საჩივრის განხილვის წესთან დაკავშირებული პროცედურები, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიწოდება, მიზანთან შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, მახასიათებლები, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვისა და შენახვის პირობები, გამოყენების მოსალოდნელი შედეგები, აგრეთვე საქონლის ან მომსახურების შემოწმებისა და ტესტირების შედეგები და მათ საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოდომეტრის მონაცემები წარმოადგენს არსებით ინფორმაციას, რადგან ეს მონაცემი პირდაპირ უკავშირდება როგორც საქონლის ფიზიკურ მდგომარეობას, ისე მის ღირებულებას, უსაფრთხოებასა და ფუნქციურობას. შესაბამისად, კანონმდებელი, ინფორმაციის მცდარად ან იმგვარად მიწოდებას,

რომელსაც შეუძლია შეცვალოს მომხმარებლის ეკონომიკური ქცევა, უკავშირებს მოვაჭრის მიერ განხორციელებულ უსამართლო კომერციულ საქმიანობას.

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრემ მომხმარებელს მცდარი ინფორმაცია მიაწოდა გარბენის შესახებ, რამაც გამოიწვია მომხმარებლის მოტყუება და რის გამოც მომხმარებელმა დადო გარიგება.

4.2.2. ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ოდომეტრის მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით

ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში იქნა განხილული საკითხი ოდომეტრის მონაცემების შეცვლასთან დაკავშირებით და იგი მიჩნეულ იქნა უსამართლო კომერციული საქმიანობის ერთ-ერთ გამოვლინებად.

მაგალითად, იტალიაში ოდომეტრის მონაცემების (გარბენის) გაყალბება – ანუ ე.წ. "ოდომეტრის უკნ დაბრუნება" – ამავედროულად მიიჩნევა შეცდომაში შემყვან და არაკეთილსინდისიერ კომერციულ საქმიანობად. 2015 წელს, იტალიის კონკურენციისა და საბაზრო ზედამხედველობის ორგანომ⁹ განიხილა საქმე, სადაც მოვაჭრემ ავტომობილები გაყიდა ოდომეტრის შემცირებული მაჩვენებლით. აღნიშნულ საქმეზე დადგინდა დარღვევა და მოვაჭრეს დაეკისრა 60,000 ევროს ოდენობით ჯარიმა. იტალიის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის ორგანომ განმარტა, რომ ასეთი ქმედება არღვევს კეთილსინდისიერების ვალდებულებას და წარმოადგენს საქონლის შესახებ არსებითი ინფორმაციის გაყალბებას/დამალვას. მოგვიანებით კი, იტალიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ საქმეზე AGCM v. VAR S.r.l. (2018), მოვაჭრეს დააკისრა 100,000 ევროს ოდენობით ჯარიმა – რადგან მან 4 ავტომობილი გაყიდა ოდომეტრის მონაცემების გაყალბებით. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში დაადგინა, რომ მსგავსი პრაქტიკა არღვევს პროფესიული კეთილსინდისიერების ვალდებულებას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანით ხელყოფს ბაზრის სამართლიანობას.¹⁰

გარდა იტალიისა, ოდომეტრის მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით, მკაცრი მიდგომები აქვს ბელგიას. ბელგიაში გარბენის გაყალბება მკაცრად კონტროლდება Car-Pass სისტემის საშუალებით, რომელიც სავალდებულოა მანქანის ყოველი ტექნიკური შემოწმებისას. იგი არის გარბენის მონაცემების სარეგისტრაციო და სერტიფიცირების სისტემა, რომელიც შეიქმნა იმისათვის, რომ მეორეული ავტომობილების მყიდველებს ჰქონდეთ სანდო და გამჭვირვალე ინფორმაცია მანქანის რეალურ გარბენთან დაკავშირებით. ეს სისტემა ბელგიაში მოქმედებს 2006 წლიდან და მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად მომხმარებლის დაცვის მიმართულებით. ყოველ

⁹ Autorità Garante della Concorrenza e del Mercato (AGCM)

¹⁰ <https://shorturl.at/CE4Jh>

ჯერზე, როდესაც ავტომობილი გადის ტექნიკურ მომსახურებას, ინსპექტირებას ან სერვისცენტრში სარემონტო შესაკეთებელ სამუშაოს, მისი ოდომეტრის მაჩვენებელი აირიცხება ცენტრალურ ბაზაში. ხოლო, ავტომობილის გაყიდვისას, მოვაჭრე ვალდებულია მყიდველს გადასცეს Car-Pass-ის სერთიფიკატი, რომელიც ასახავს რეალურ გარბენს და მყიდველს შეუძლია ქრონოლოგიურად გადაამოწმოს მანქანის ოდომეტრის შესახებ ინფორმაცია. ბელგიაში, Car-Pass-ის არქონა იწვევს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ანტვერპენის სააპელაციო სასამართლომ 2020 წელს დაადგინა, რომ გაყალბებული გარბენით მანქანის გაყიდვა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებითი პირობების დარღვევას და მომხმარებელს აძლევს სრულ ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას.¹¹

მსგავსად ბელგიისა, ოდომეტრის გაყალბებასთან დაკავშირებით მკაცრი მიდგომები აქვს გერმანიას¹² და საფრანგეთს. აღნიშნული ქვეყნების იურისდიქციების მიხედვით, მოვაჭრის ქმედება ოდომეტრის მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ასევე შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობას და მომხმარებლებისათვის არსებითი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას.¹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს უსამართლო კომერციულ საქმიანობას კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

4.3. მომხმარებლის განცხადების შეფასება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონლის გადაცემის ვალდებულების დარღვევა მოვაჭრის მიერ და ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება

კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი საქონელი. კანონის ეს ჩანაწერი გამომდინარეობს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, ვალდებულების შესრულება გულისხმობს მოვალისგან იმ ქმედების განხორციელებას, რომლის მოთხოვნის უფლება კრედიტორს გააჩნია. „pacta sunt servanda“ - ხელშეკრულების უზენაესი პრინციპია, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას უზრუნველყოფს.

¹¹ <https://www.car-pass.be/en/about-car-pass>

¹² <https://shorturl.at/m0wwL>

¹³ Odometer Manipulation, Regarding imported vehicles from Germany, Aanpak Tellerfraude, 2018.

ზემოაღნიშნული დათქმის შეუსრულებლობა, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამო ნივთის გადაცემა მომხმარებლისათვის, უკვე ხელშეკრულების დარღვევაა. იმისათვის, რომ დადგეს მოვაჭრის პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია სახეზე იყოს ხელშეკრულების დარღვევა და მისი შემადგენლობა. მეორადი მოთხოვნის უფლებები კი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად და არღვევენ ხელშეკრულებით დაკისრებულ პირველად ვალდებულებებს.

კანონის თანახმად, ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება მომხმარებლის უფლებების დარღვევაა და არაჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

„ხელშეკრულების პირობების შესაბამისობა“ ნიშნავს, რომ გაყიდული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთან შეთანხმებულ პირობებს, ასევე იყოს ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივ მომხმარებლები მოელიან იმავე ტიპის საქონელთან მიმართებით. ეს პრინციპი არის საერთო სამომხმარებლო დაცვის სტანდარტი როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტომობილის გარბენი (ოდომეტრის მაჩვენებელი) წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს, რომელიც პირდაპირ აისახება მის ფიზიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკურ ღირებულებაზე და მოსალოდნელ სარემონტო სამუშაოების საჭიროებაზე. მომხმარებელი მათ შორის სწორედ გარბენის მაჩვენებლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ავტომობილის შეძენის შესახებ — რაც ნიშნავს, რომ გარბენი არის ფასის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას და განსახილველ შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პირობებზე: 2018 წლის TOYOTA AQUA (განსაბაჟებული ავტომობილის ნომრებით - GR 9670, ძარის ნომრით vin – NHP10-6798722) გარბენი - 55 000 კილომეტრი. მოვაჭრემ ასევე იკისრა პასუხისმგებლობა, რომ გარბენის შესახებ ინფორმაციის სანდოობის დასამტკიცებლად, მომხმარებელს მიაწვდიდა შესაბამის დოკუმენტს, რომელიც მიწოდებაც გაურკვევლი მიზეზით გაჭიანურდა. შესაბამისად, მომხმარებელმა თავად იკისრა აღნიშნული დოკუმენტის მოპოვების პასუხისმგებლობა და აღმოჩნდა, რომ მოვაჭრის მიერ დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მომხმარებელს არ გადაეცა საქონელი იმ პირობების შესაბამისი, რომელზეც მხარეებნი შეთანხმდნენ.

სააგენტოს განმარტებით, ოდომეტრის მონაცემების არასწორი მითითება გულისხმობს, რომ მომხმარებელს გადაეცა ისეთი საქონელი, რომელიც არსებითად განსხვავდება შეთავაზებულისგან, რითაც ირღვევა როგორც სახელშეკრულებო პირობები, ისე მომხმარებლის სამართლებრივი მოლოდინები. შესაბამისად, ეს ქმნის ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შეუსაბამობის სამართლებრივ საფუძველს და მომხმარებელს აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები.

როგორც აღინიშნა, კანონის მე-17 მუხლის თანახმად თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, ფასის შემცირება) ან გავიდეს ხელშეკრულებიდან. ხოლო, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საქონლის შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია;
- ბ) მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა ან არ შეცვალა და მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა;
- გ) მოვაჭრის მიერ საქონლის შეკეთება ან შეცვლა მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის.

განსახილველ შემთხვევაში, ავტომობილის რეალური გარბენი მნიშვნელოვნად აღემატება მოვაჭრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რის გამოც შესაძლოა ავტომობილის ღირებულება შემცირდეს, ხოლო მომხმარებელი კარგავს ინტერესს თავდაპირველად, ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული შესრულების მიმართ.

კანონი ითვალისწინებს ნაკლის აღმოფხვრის ალტერნატიულ გზებს საქონლის შეცვლა/შეკეთების გზით, ხოლო თუ შეცვლა/შეკეთება შეუძლებელია, ფასის შემცირებასა და ხელშეკრულებიდან გასვლას. მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი, დაზუსტებული პოზიციის თანახმად, იგი ითხოვს ფასის პროპორციულ შემცირებას, რაც, მისი აზრით ადადგენს იმ სახელშეკრულებო ბალანსსა და კეთილსინდისიერებას, რის საფუძველზეც შევიდა მოვაჭრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. სააგენტო იზიარებს პოზიციას, რომ ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის (ნაკლის) აღმოსაფხვრელად, გარბენი ვერ „შეიცვლება“ და ვერ დაუბრუნდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ამიტომ ერთადერთი ლოგიკური გამოსავალია ფასის პროპორციული შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა.

ვინაიდან მომხმარებელი ითხოვს ფასის პროპორციულ შემცირებას, კერძოდ 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის დაბრუნებას მოვაჭრისაგან, სააგენტომ შეაფასა მომხმარებლის მოთხოვნის ლეგიტიმურობა და პროპორციულობა. იხელმძღვანელა

როგორც მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი პოზიციით, ასევე იმ პლატფორმაზე (www.myauto.ge) განთავსებული ინფორმაციით, რა პლატფორმის დახმარებითაც ჩამოყალიბდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა.

მსგავსად ქართული სამართლებრივი მოწესრიგებისა, როგორც აღინიშნა, ევროკავშირის სამომხმარებლო სამართალში, თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (ე.წ. "ნაკლი"), მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილია მოითხოვოს საქონლის შეკეთება ან შეცვლა ყოველგვარი ხარჯის გარეშე. ფასის შემცირება და ხელშეკრულებიდან გასვლა კი წარმოადგენს მეორად სამართლებრივ გზას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება ხელმისაწვდომი, როდესაც ნაკლის აღმოფხვრა (საქონლის შეცვლა/შეკეთება) შეუძლებელია.

ევროკავშირის დირექტივა 1999/44/EC (რომელიც ჩანაცვლდა (EU) 2019/771 დირექტივით) აღგენს, რომ მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს "ფასის შესაბამისი შემცირება ან ხელშეკრულებიდან გასვლა" იმ შემთხვევაში, თუ შეკეთება ან შეცვლა შეუძლებელია, ან მოვაჭრემ საქონელი გონივრულ ვადაში არ შეაკეთა/შეცვალა ან საქონლის შეცვლა/შეკეთება მომხმარებელს მნიშვნელოვან შეფერხებას შეუქმნის. ეს პრინციპი შენარჩუნებულია ახალი დირექტივითაც – (EU) 2019/771 და ქართული კანონმდებლობაც ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს.

დირექტივის (EU) 2019/771 მე-15 მუხლი პირდაპირ განამტკიცებს რომ "ფასის შემცირება უნდა იყოს პროპორციული იმ სხვაობასთან, რომელიც მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ ღირებულებასა და იმ რეალურ ღირებულებას შორისაა, რომელიც საქონელს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში ექნებოდა."

შესაბამისად, ფასის შემცირება გამოითვლება როგორც სხვაობა, საქონლის რეალურ ღირებულებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღირებულებას შორის. აღნიშნული პრინციპი ეხმიანება საერთაშორისო გაყიდვების პრაქტიკასაც (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ, 50-ე მუხლი)¹⁴, სადაც ფასის პროპორციული შემცირება განპირობებულია მიწოდებული საქონლის ფაქტობრივი ღირებულებისა და იმ ღირებულების სხვაობით, რომელიც საქონელს ექნებოდა ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში. გარდა ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრის თანახმად, „შემცირებული ფასი შეთანხმებულ ფასთან იმავე თანაფარდობაში უნდა იყოს, რაც ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო (ნაკლოვანი)

¹⁴ If the goods do not conform with the contract and whether or not the price has already been paid, the buyer may reduce the price in the same proportion as the value that the goods actually delivered had at the time of the delivery bears to the value that conforming goods would have had at that time. However, if the seller remedies any failure to perform his obligations in accordance with article 37 or article 48 or if the buyer refuses to accept performance by the seller in accordance with those articles, the buyer may not reduce the price.

საქონლის ობიექტური ღირებულებაა უნაკლო (ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისი) საქონლის ღირებულებასთან მიმართებით“¹⁵

მსგავს მიდგომას იზიარებს გერმანიის სამომხმარებლო კანონმდებლობა ფასის შემცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად: ფასის შემცირების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასი უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უნაკლო ნივთის ღირებულებას რეალურ ღირებულებასთან შედარებით ექნებოდა. იმდენად რამდენადაც ეს აუცილებელია, ფასის შემცირება უნდა დადგინდეს შეფასებით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი, თუ მყიდველმა უკვე გადაიხადა შემცირებულ ფასზე მეტი, მაშინ ზედმეტობა უნდა ანაზღაურდეს გამყიდველის მიერ. გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მეორეულ მანქანებთან მიმართებით ხშირად გამოიყენება ფასის შემცირება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვაჭრის მიერ რეალიზებული მანქანა არ არის იმ პირობების, რა პირობებზეც მხარეები შეთანხმდნენ. გერმანულ სამართლებრივ სივრცეში შემუშავებულია შესაბამისი ფორმულა, რომელიც იძლევა საჭირო კრიტერიუმებს და რომლის მიხედვითაც ხდება ფასის შემცირების დაანგარიშება.

$$\frac{\text{უნაკლო ნასყიდობის ნივთის ღირებულება}}{\text{ნაკლიანი ნივთის ფაქტობრივი ღირებ.}} = \frac{\text{შეთანხმებული ნასყიდობის ფასი}}{X (\text{ნასყ. ნივთის შემცირებული ღირებ.})}$$

გერმანულ ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი მაგალითი: სარეცხი მანქანა მაღაზიაში ღირდა 450 ლარი, თუმცა, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე - 350 ლარზე. მოგვიანებით სარეცხ მანქანას აღმოაჩნდა ნაკლი და მისი ფაქტობრივი ღირებულება განისაზღვრა 250 ლარით. ზემოაღნიშნულ ფორმულაში ამ მონაცემების ჩასმის შედეგად მივიღებთ შემდეგ განტოლებას: $450:250=350:X$. შესაბამისად, ნასყიდობის ნივთის შემცირებული ღირებულება (X) = $250 \times 350:450$. სარეცხი მანქანის შემცირებული ღირებულება იქნება 194.44 ლარი.¹⁶

ვინაიდან გერმანულ პრაქტიკაში არცთუ ისე მარტივია უნაკლო ნივთის ღირებულების დადგენა, მის მაჩვენებლად იღებენ შეთანხმებული ფასის ოდენობას, ხოლო შესამცირებელ თანხად ის თანხა მიიჩნევა, რომელიც ნაკლის აღმოფხვრისთვის არის საჭირო. თუმცა ეს დასაშვებია მანამ, სანამ შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ღირებულებითი თანასწორობის ვარაუდი არ იქნება უკუგდებული და სანამ არ

¹⁵ Milica Popovioc, “The method of calculating price reductions in contracts for the international sale of goods”, 2023, 119.

¹⁶ იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2014, 337.

დადგინდება, რომ მყიდველმა გააფორმა განსაკუთრებით ცუდი ან კარგი გარიგება.¹⁷ განმარტების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც მომხმარებელი გამყიდველს უგზავნის ზედმეტად დიდი თანხით შემცირების მოთხოვნას.

ფასის შემცირების სამართლებრივი შედეგია ის, რომ გადახდის მოთხოვნა არ არსებობს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ნასყიდობის ფასი შემცირდა. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი შემცირებულ ფასზე მეტს გადაიხდის, სამართლებრივი საფუძვლით მას შეუძლია მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამომხმარებლო კანონმდებლობაში, გერმანულის მსგავსად, არ არის უშუალო ფორმულა შემოთავაზებული ფასის პროპორციული შემცირების შესაფასებლად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი იზიარებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სულისკვეთებას და ადგენს, რომ „თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.“

ფასის შემცირებასთან დაკავშირებით, მსგავს მიდგომას იზიარებს ნიდერლანდების სამომხმარებლო კანონმდებლობაც. ნიდერლანდების კანონმდებლობით (Burgerlijk Wetboek, მუხლი 7:22(1)(b)), მომხმარებელს უფლება ენიჭება მოითხოვოს „prijsvermindering“ (ფასის შემცირება), რომელიც პროპორციული უნდა იყოს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამობის ხარისხთან (ნაკლთან).¹⁸

საინტერესოა საფრანგეთის სამომხმარებლო სამართლის მიდგომა ფასის შემცირების საკითხთან დაკავშირებით. Code de la Consommation და Code civil (რომელშიც გაერთიანებული მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობა) ითვალისწინებს réduction du prix-ს (ფასის შემცირების) შესაძლებლობას შეუსაბამობის შემთხვევაში.¹⁹

საფრანგეთში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა „garantie des vices cachés“-ის (ფარული ნაკლის გარანტია) ფარგლებში აღიარებს, რომ ფასის შემცირებამ უნდა დააბრუნოს მომხმარებელი იმ მდგომარეობაში, როგორშიც იქნებოდა, ნაკლის შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას რომ სცოდნოდა.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ (Cour de cassation) არაერთგზის დაადგინა, რომ action estimatoire (ქმედების შეფასების) საფუძველზე მყიდველს უნდა აუნაზღაურდეს იმ

¹⁷ <https://www.it-recht-kanzlei.de/minderung-kaufpreis.html#:~:text=Beispiel%3A%20Der%20K%C3%A4ufer%20kauft%20einen,im%20Wege%20einer%20Reparatur%20%E2%80%93>

¹⁸ <https://jure.nl/ECLI:NL:RBGEL:2024:7916#:~:text=3>

¹⁹ https://www.legifrance.gouv.fr/codes/texte_lc/LEGITEXT000006069565/

თანხის ნაწილი, რომელიც არის ფაქტობრივად გადახდილ თანხასა და ნაკლის გათვალისწინებით, მომხმარებლის მიერ რეალურად გადასახდელ თანხას შორის.

ფასის შემცირების მნიშვნელობასთან დაკავშირებით 2013 წელს იმსჯელა ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე: C-32/12, Soledad Duarte Hueros v Autociba SA and Automóviles Citroën España SA.²⁰ რომელიც ეხებოდა მომხმარებლის უფლებებს ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო საქონლის შეძენის შემთხვევაში. აღნიშნული საქმე წარდგენილი იყო ესპანური სასამართლოს მიერ წინასწარი განმარტების (Preliminary Rulling) მოთხოვნის საფუძველზე და უკავშირდებოდა ევროკავშირის დირექტივის 1999/44/EC ინტერპრეტაციას.

საქმის არსი კი მდგომარეობდა შემდეგში: მომჩივანმა, სოლედად დუარტე უეროსმა, შეიძინა ავტომობილი, რომელსაც აღმოაჩნდა მცირედი ნაკლი. მან მოვაჭრეს მოსთხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა აღნიშნული ნაკლის საფუძველზე. თუმცა, ესპანურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაკლი საკმარისად სერიოზული არ იყო საიმისოდ, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულიყო, ვინაიდან 1999/44/EC დირექტივის მე-3(6) მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი (ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობა) არ არის უმნიშვნელო.

პრობლემა წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ ესპანური საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მომხმარებლისთვის მიენიჭებინა ალტერნატიული სამართლებრივი საშუალება — ფასის შემცირება — თუ თავად პირდაპირ მომხმარებელი არ ითხოვდა ამას. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლი მართლაც არსებობდა და 1999/44/EC დირექტივა ასეთ შემთხვევებში უზრუნველყოფს პროპორციულ სამართლებრივ დაცვას, მომჩივანი პრაქტიკულად სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩა, რადგან ფორმალურად ითხოვდა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლას.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი სამართლებრივი გარემოება არღვევს ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს — უფლებების ეფექტიან განხორციელებას (effet utile). სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნული სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს მომხმარებლის უფლებების სრულფასოვანი დაცვა და არ შეიძლება სამართლებრივი საშუალებების მინიჭება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნაზე. შესაბამისად, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა არ შეიძლება ნაკლის უმნიშვნელობის

²⁰ Judgment of the Court (First Chamber), 3 October 2013. Soledad Duarte Hueros v Autociba SA and Automóviles Citroën España SA.

გამო, ეროვნულმა სასამართლომ მაინც უნდა შეძლოს ფასის შემცირების უზრუნველყოფა — თუნდაც ამას მომხმარებელი კონკრეტულად არ ითხოვდეს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფასის შემცირება წარმოადგენს სავალდებულო ალტერნატიულ საშუალებას ევროკავშირის სამომხმარებლო კანონმდებლობის ფარგლებში. სასამართლოებმა და ეროვნულმა კანონმდებლობამ არ უნდა შექმნან ბარიერები, რომლებიც მომხმარებელს ფაქტობრივად წაართმევს სამართლებრივ დაცვის მექანიზმებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის დირექტივის მიზნებთან.

ზემოაღნიშნული საქმე არის პრეცედენტული და გადამწყვეტი იმ თვალსაზრისით, რომ იგი განამტკიცებს შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპს — ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის წესები არ უნდა იყოს შებოჭილი ეროვნული პროცედურული ნორმებით იმ დონემდე, რომ მოისპოს მათი პრაქტიკული ეფექტიანობა. მომხმარებელს უნდა შეძლოს თავისი უფლების რეალიზაცია, მათ შორის ისეთი საშუალებებითაც, როგორიცაა ფასის შემცირება, მაშინაც კი, როდესაც იგი პირდაპირ ამას არ ითხოვს.

განსახილველ საქმეში, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მოვაჭრეს სააგენტოში არ წარმოდგენია არანაირი კვალიფიციური შედავება, რაც გააბათილებდა მომხმარებლის მიერ წაყენებულ პრეტენზიას ნივთის ნაკლთან დაკავშირებით. მეტიც, მან სააგენტოს წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციის პროცესში უარი განაცხადა რაიმე სახის პოზიციის/არგუმენტაციის წარმოდგენაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-20 მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთსა და ვადებს ხელშეკრულებასთან შეუსაბამობისას. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ იმსჯელა საქმეზე „*ფრუკე ფაბერი, საავტომობილო კომპანია Hazet Ochten BV - ს წინააღმდეგ*“²¹ სადაც განიხილა თუ როგორ ხდება მტკიცების

²¹ Case C-497/13, Froukje Faber v Autobedrijf Hazet Ochten BV, 'Reference for a preliminary ruling — Directive 1999/44/EC — Sale of consumer goods and associated guarantees — Status of the purchaser — Consumer status — Lack of conformity of the goods delivered — Duty to inform the seller — Lack of conformity which became apparent within six months of delivery of the goods — Burden of proof'

ტვირთის განაწილება 1999/44 დირექტივის მე-5 (3) მუხლის მიხედვით და, კერძოდ, რა საკითხები უნდა დაამტკიცოს მომხმარებელმა.

სასამართლომ იმსჯელა, რომ „უპირველესად, მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომ შეძენილი საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. მაგალითად ის, რომ ნივთს არ გააჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თვისებები ან არ არის ვარგისი იმ მიზნისათვის, რისთვისაც ჩვეულებრივ მოსალოდნელია ასეთი საქონლის გამოყენება. მომხმარებელმა უნდა დაადასტუროს ფაქტი, რომ საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოა, მას არ მოეთხოვება ნაკლის გამომწვევი მიზეზის მტკიცება ან იმის დადგენა, რომ ნაკლი თავდაპირველია. ფაქტების მითითების შემდეგ, ნივთის შეძენიდან პირველი 6 თვის განმავლობაში მომხმარებელი თავისუფლდება მტკიცების ვალდებულებისაგან, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდების დროს.“

ამავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ იმსჯელა, რომ თუკი მოვაჭრე, შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტით ვერ ამტკიცებს, რომ ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა გამომწვეულია საქონლის მიწოდების შემდეგ, 1999/44 დირექტივის მე-5 (3) მუხლით დადგენილი პრეზუმპცია იმის შესახებ, რომ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ საქონლის ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებამდე, შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს დაეყრდნოს ამ დირექტივიდან გამომდინარე უფლებას. წესი, რომელიც ადგენს ზემოაღნიშნულ პრეზუმპციას, მოქმედებს თუკი მომხმარებელი წარადგენს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ ნივთი ნაკლიანია, არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ნაკლი გამოვლინდა საქონლის გადაცემიდან 6 თვის განმავლობაში. პრეზუმპციის გაქარწყლება კი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოვაჭრე სათანადო სამართლებრივი სტანდარტით დაამტკიცებს, რომ გაყიდული საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის მიზეზი დაკავშირებულია საქონლის მიწოდების შემდეგ გამოვლენილ გარემოებებთან.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან მოვაჭრეს სააგენტოში არ წარმოუდგენია შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ მან მომხმარებელს ხელშეკრულების პირობების შესაბამისი (უნაკლო) საქონელი გადასცა, სააგენტომ, მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია/დოკუმენტაცია მიიღო ფაქტობრივ მტკიცებულებად და დაადგინა, რომ მოვაჭრემ ვერ დაძლია კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი, ვერ დაამტკიცა საწინააღმდეგო, რაც პრეზუმირებულად გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს გადაეცა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამო (ნაკლოვანი) საქონელი და მომხმარებელს წარმოეშვა კანონის მე-17 მუხლით განმტკიცებული მოთხოვნის უფლება.

განსახილველ შემთხვევაში, მომხმარებელი ითხოვს ფასის პროპორციულ შემცირებას, კერძოდ მას სურს დაიბრუნოს 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი. იხელმძღვანელა რა სააგენტომ საერთაშორისო პრაქტიკითა და საქართველოს კანონმდებლობით, დაადგინა, რომ შემცირებული ფასი შეესაბამება იმ თანაფარდობას, რაც არის საქონლის რეალურ ღირებულებასა და მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ (მომხმარებლის მიერ გადახდილ) ფასს შორის. შესაბამისად, მომხმარებლის მოთხოვნა ფასის პროპორციულ შემცირებასთან დაკავშირებით ლეგიტიმურია და უნდა დაკმაყოფილდეს მოვაჭრის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის მიერ ადგილი აქვს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით, მე-10 მუხლის პირველი პუნქტით, მე-16 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მომხმარებლის უფლებების დარღვევას. ამასთან, მოვაჭრის ქმედება წარმოადგენს მოქმედებით გამოხატულ უსამართლო კომერციულ საქმიანობას კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

თავი 5. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს ი/მ გიორგი ბასილიძის (პ/ნ: 01011014397) მხრიდან „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების დარღვევისა და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი.